წინასიტყვაობა

ტერი დევისი
ევროპის საბჭოს
გენერალური მდივანი

1949 წელს დაარსებულმა ევროპის საბჭომ არსებობის გრძელი გზა განვლო. დღეს ის 46 ქვეყნის 800 მილიონ მოქალაქეს ემსახურება და მისი პრინციპები კვლავ უცვლელია. დემოკრატია, ადამიანის უფლებები და ცხოვრების მაღალი დონე ამ ორგანიზაციის საქმიანობის უმთავრესი ნაწილია. სწორედ ეს ფასეულობებია გამაერთიანებელი ძალა ევროპაში და ჩვენც ვცდილობთ მხარი დავუჭიროთ ამ იდეალებს საერთო პრობლემების დასაძლევად.

ევროპის საბჭო დღესაც მრავალ სირთულეს აწყდება მთელ კონტინენტზე და მუდამ განგაშის ზარს სცემს, როდესაც საფრთხე ემუქრება ჩვენი დემოკრატიული ცხოვრების არსს. დღეს ასეთ საფრთხეს წარმოადგენს ტერორიზმი, რასიზმი, ანტი-სემიტიზმი, ორგანიზებული დანაშაული, კორუფცია და ადამიანებით ვაჭრობა.

ეს ბროშურა ევროპის საბჭოს სხვადასხვა კონვენციებისა და საქმიანობის მოკლე მიმოხილვას წარმოადგენს.

ევროპის საბჭოს დაარსება და წევრი ქვეყნები

ევროპის საბჭო დაარსდა 1949 წელს. ამ სამთავრობათშორისო ორგანიზაციის შტაბბინა მდებარეობს სტრასბურგში (საფრანგეთი) და ის აერთიანებს 46 დემოკრატიულ ქვეყანასა და დამკვირვებლის სტატუსის მქონე 5 სახელმწიფოს (კანადა, წმინდა საყდარი, იაპონია, მექსიკა და ამერიკის შეერთებული შტატები).

► მიზნები

- ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის დაცვა ყველა წევრ ქვეყანაში;
- ევროპაში დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცება პოლიტიკური, სამართლებრივი და საკონსტიტუციო რეფორმათა მხარდაჭერის გზით ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე;
- ისეთ სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტის გზების ძიება, როგორიცაა შეუწყნარებლობა, უმცირესობათა დისკრიმინაცია, ადამიანის კლონირება, ნარკოტიკები, ტერორიზმი, კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული;
- ევროპის კულტურული თვითმყოფადობის განვითარების ხელშეწყობა, სადაც განათლებას განსაკუთრებული როლი ენიჭება;
- სოციალური ინტეგრაციისა და სოციალურ უფლებათა მხარდაჭერა.

► სტრუქტურა

მინისტრთა კომიტეტი არის ევროპის საბჭოში გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რომელიც შედგება 46 წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებისგან ან მათი მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლებისგან;

საპარლამენტო ასამბლეა არის ორგანიზაციის საათათბირო ორგანო. ის აერთიანებს 315 წევრს და ამავე რაოდენობის შემცვლელს, რომლებიც წარმოადგენენ 46 ეროვნულ პარლამენტს. ასამბლეაში ასევე შედიან არაწევრი ქვეყნების დელეგაციები;

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფალთა კონგრესი შედგება ორი პალატისგან, რომლებიც შესაბამისად ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ;

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასევე მდებარეობს სტრასბურგში. ის მუდმივმოქმედია და მოიცავს პროცედურათა სრულ სპექტრს, სარჩელის მიღებიდან საბოლოო გადაწყვეტილებამდე. საპარლამენტო ასამბლეა ირჩევს მოსამართლეებს ექვსი წლის ვადით.

ევროპის საბჭოს **გენერალური მდივანია** ტერი დევისი (გაერთიანებული სამეფო), რომელიც აირჩიეს 2004 წელს 5 წლის ვადით. ის წარმართავს და კოორდინაციას უწევს ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას.

ევროპის საბჭოს 1800 თანამშრომლისგან შემდგარი **სამდივნოს** საქმიანობა განაწილებულია შემდეგ დირექტორატებში:

- პოლიტიკურ საქმეთა;
- სამართლებრივ საქმეთა;
- ადამიანის უფლებათა;
- სოციალური ინტეგრაციის;
- განათლების, კულტურისა და მემკვიდრეობის, ახალგაზრდობისა და სპორტის;
- ადმინისტრაციისა და მატერიალური უზრუნველყოფის.

ევროპის საბჭოს **ოფიციალური ენებია** ინგლისური და ფრანგული. ასევე გამოიყენება გერმანული, იტალიური და რუსული ენები. სხვადასხვა ენებზე არსებული დოკუმენტების მოძიება შესაძლებელია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე: **www.coe.int**

► ბიუჯეტი

ორგანიზაციის ბიუჯეტი 2006 წლისთვის შეადგენს 262.60 მილიონ ევროს. ევროპის საბჭოს აფინანსებენ წევრი ქვეყნები. შენატანი განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობისა და ქვეყნის ბიუჯეტის შესაბამისად.

► ევროპის საბჭოს მუშაობის პრინციპები

ევროპის საბჭოს საქმიანობა წარიმართება **მინისტრთა კომიტეტის**, **საპარლამენტო ასამბლეისა** და **ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფალთა კონგრესს** შორის შეთანხმებული მოქმედების საფუძველზე.

სამთავრობათშორისო პროგრამა ყოველწლიურად მტკიცდება მინისტრთა კომიტეტის მიერ და სრულად ასახავს ევროპის საბჭოს პოლიტიკურ პრიორიტეტებს.

თანამშრომლობის საფუძველზე მიღწეული შედეგები სხვადასხვა ფორმას იღებს, რაც დამოკიდებულია კონკრეტულ თემატიკაზე:

- კონვენციები და საერთაშორისო შეთანხმებები, სავალდებულო იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც მოახდინეს მათი რატიფიცირება;
- რეკომენდაციები წევრი ქვეყნების საყურადღებოდ საერთო პრობლემებთან დაკავშირებით;
- შეხვედრები და კონფერენციები სხვადასხვა სფეროს ექსპერტებს, პოლიტიკოსებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დარგობრივ ჯგუფებს შორის;
- დემოკრატიისა და სამართლებრივი რეფორმების განვითარების მიზნით წარმოებული ტრეინინგები, ტექნიკური დახმარება და საპარტნიორო პროგრამები;
- ანგარიშები და კვლევა, რომლებსაც ცალკეულ ქვეყნებში სამოქმედო გეგმა ემყარება;
- საინფორმაციო კამპანიები და ევროპული მნიშვნელობის მოვლენები.

ევროპის საბჭოს ძირითადი საქმიანობა

► ადამიანის უფლებები

1950 წელს მიღებულმა **ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ** ჩამოაყალიბა ადამიანის უფლებათა კონტროლისა და დაცვის ერთიანი და მუდმივმოქმედი სისტემა: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. ნებისმიერ ადამიანს, ვისაც მიაჩნია, რომ მისი უფლებები დაირღვა, შეუძლია სარჩელით მიმართოს სტრასბურგის სასამართლოს, თუ სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება ამოწურულია ეროვნულ სასამართლოში.

წამების აღკვეთის შესახებ ევროპული კონვენციის მიხედვით, დამოუკიდებელი ექსპერტები ინიშნებიან წამების საწინააღმდეგო კომიტეტში, რათა ადგილზე შემოწმდეს პატიმართა მდგომარეობა დაკავების ადგილებში და გამოიცეს შესაბამისი რეკომენდაციები მათი დაცვის გაუმჯობესების მიზნით.

ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებებსა და ბიომედიცინაზე არის პირველი საერთაშორისო სავალდებულო შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის დაცვას ბიოლოგიური და სამედიცინო ტექნოლოგიების არამართებული გამოყენებისგან. მისი მიზანია პიროვნების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, ღირსებისა და თვითმყოფადობის დაცვა. 1998 წლის დამატებითი ოქმი კრძალავს ადამიანთა კლონირებას.

ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ არის პირველი სავალდებულო და მრავალმხრივი, ეროვნული უმცირესობების დაცვის საშუალება. კონვენციის ძირითადი პრინციპებია:კანონის წინაშე თანასწორობა, სხვადასხვა კულტურათა შენარჩუნება, თვითმყოფადობის, რელიგიური მრწამსის, ენებისა და ტრადიციების დაცვა, მედიასთან თავისუფალი ურთიერთობის გარანტია და სხვა ქვეყნებში ლეგალურად მცხოვრებ ხალხებთან თავისუფალი და მშვიდობიანი

ურთიერთობების უფლება და უმცირესობათა ენების გამოყენება.

რეგიონალური და უმცირესობათა ენების ქარტია მიზნად ისახავს წევრ ქვეყანაში არაოფიციალურ ენათა შენარჩუნებას და მათი სამეტყველო და წერითი გამოყენების მხარდაჭერას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქარტია ასევე ხელს უწყობს ამ ენათა შესწავლასა და მოხმარებას.

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ დაარსდა 1993 წელს და ებრძვის რასიზმის, ქსენოფობიის და ანტისემიტიზმის ყველა სახის გამოვლინებებს. კომისია ასევე ახდენს ამ სფეროში არსებული ზომების შეფასებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ადამიანის უფლებათა კომისრის ინსტიტუტი ხელს უწყობს წევრ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვას და საგანმანათლებლო საქმიანობას ამ სფეროში. ის ასევე უზრუნველყოფს კანონმდებლობების შესაბამისობას ევროპის საბჭოს კონვენციებსა და რეკომენდაციებთან.

► დემოკრატიის მშენებლობა

ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით მდებარეობს ვენეციაში (იტალია). კომისია იძლევა იურიდიულ რჩევებს დემოკრატიულ ინსტიტუტთა და კონსტიტუციური სამართლის განვითარებასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია არის სამაგალითო საკონსტიტუციო დოკუმენტი ახალი წევრი ქვეყნებისათვის. ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე მოახდინა ქარტიის დებულებათა შეტანა ეროვნულ კონსტიტუციაში.

ჩარჩო კონვენცია ტერიტორიულ თემებსა ან თვითმმართველობებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ არის სამართლებრივი ბაზა, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას რეგიონალური, საქალაქო და სასოფლო განვითარების სფეროში; კონ-

ვენცია ასევე ეხება გარემოს დაცვის, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების სფეროს გაუმჯობესების, ბუნებრივი კატასტროფების დროს ურთიერთდახმარების საკითხებს.

► სოციალური ინტეგრაცია და სოციალური უფლებები

ევროპის სოციალური ქარტია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ერთად იცავს ადამიანის ძირითად უფლებებს, რომლებიც მოიცავენ: მუშაობის, პროფესიული მომზადების, სამართლიანი ანაზღაურებისა და სათანადო სამუშაო პირობების, კავშირებში გაერთიანების, სოციალური და სამედიცინო დახმარებისა და სოციალური დაცვის უფლებებს. 1996 წელს ქარტიას დაემატა ისეთი საკითხები, როგორიცაა ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობა, კარგი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და სხვა.

სოციალური ინტეგრაციის ევროპული კომიტეტი დაკავებულია წევრ ქვეყნებში სოციალური ინტეგრაციის მდგომარეობის მონიტორინგით. კომიტეტის საქმიანობა ოთხი მიმართულებით წარიმართება: სტანდარტების შემუშავება და ზედამხედველობა სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაზე, წევრ ქვეყნებში შესაბამისი პოლიტიკისა და პროექტების განვითარება, კვლევა და ანალიზი.

► მოქალაქეთა დაცვა

ევროპული კონვენცია ტერორიზმის აღმოფხვრის შესახებ შეიცავს ძირითად დებულებებს ტერორიზმში ეჭვმიტანილთა ექსტრადიციასთან დაკავშირებით და მიზნად ისახავს გაამარტივოს შესაბამისი პროცედურები.

ევროპის საბჭოს ასევე მიღებული აქვს **სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კონვენციები კორუფციის საკითხებთან დაკავშირებით**. ამ კონვენციების განხორციელებას ზედამხედველობას უწევს სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ.

ძირითადი კონვენცია კიბერ-დანაშაულებათა შესახებ პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომე-

ლიც მოქმედებს კომპიუტერული ქსელის გამოყენებით ან მის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა აღსაკვეთად.

► კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა

ევროპის კულტურული კონვენცია მიღებულია 1954 წელს და ის წარმოადგენს გაფართოებულ ჩარჩო კონვენციას, რომელიც მოიცავს საშუალო და უმაღლესი განათლების, კვლევის, კულტურის, მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებს. ეს დოკუმენტი ხელს უწყობს დიალოგსა და თანამშრომლობას კონვენციის მონაწილე 48 ქვეყანას შორის, რომელთაგან 46 ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანაა.

კონვენცია ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ და **არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ევროპული კონვენცია** საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ხელსაყრელ სამართლებრივ ბაზას წარმოადგენს.

კონვენცია ევროპის ველური სამყაროსა და ბუნებრივი მემკვიდრეობის კონსერვაციის შესახებ (ბერნის კონვენცია) იცავს გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარ მრავალ ცხოველსა თუ მცენარეთა ჯიშს.

ევროპის ლანდშაფტის კონვენცია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქვეყნის ხელისუფლებას შეიმუშაოს ლანდშაფტების დაცვის, მართვისა და დაგეგმვის პოლიტიკა მთელ ევროპაში.

► განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის

განათლების დარგში ევროპის საბჭო ახორციელებს ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო განათლების, ისტორიისა და ენების სწავლების, მასწავლებელთა მომზადების, ევროპულ სტანდარტებზე ორიენტირებული საშუალო განათლების, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის, სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილებისა და კვალიფიკაციის საერთაშორისო აღიარების პროგრამებს.

ახალგაზრდული ცენტრები სტრასბურგსა და ბუდაპეშტში თავს უყრიან ევროპის ახალგაზრდული ორგა-

ნიზაციების წარმომადგენლებს, რომლებსაც საშუალება აქვთ აქ გაიარონ შესაბამისი მომზადება. ევროპის ახალგაზრდული ფონდი აფინანსებს საერთაშორისო ღონისძიებებს.

მაყურებელთა ძალადობისა და არამართებული ქცევის საწინააღმდეგო ევროპული კონვენცია გვთავაზობს მაყურებელთა დაცვის ღონისძიებებს მნიშვნელოვანი სპორტული შეჯიბრებების დროს.

დოპინგის საწინააღმდეგო კონვენცია საშუალებას აძლევს წევრ სახელმწიფოებს ერთობლივად განახორციელონ დოპინგის კონტროლის პროგრამები.

► წილობრივი შეთანხმებები

ევროპის საბჭოს წილობრივი შეთანხმებები საშუალებას აძლევს ზოგიერთ წევრ ქვეყანას მონაწილეობა მიიღოს კონკრეტულ ღონისძიებებში სხვა წევრებთან შეთანხმებით მათი საერთო ინტერესიდან გამომდინარე:

- **ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი** აფინანსებს საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის, სამუშაო ადგილების შექმნის და სოციალური ინფრასტრუქტურის პროექტებს. ბანკი ასევე უწევს დახმარებას ლტოლვილებსა და ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაზარალებულ ადამიანებს;
- **ევროპული ცენტრი გლობალური ურთიერთდამოკიდებულებისა და სოლიდარობისათვის (ჩრდილოეთ-სამხრეთის ცენტრი)** დაარსდა ლისაბონში (პორტუგალია) 1990 წელს იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყო თანამშრომლობისათვის ევროპასა და სამხრეთს შორის. ცენტრი აერთიანებს მთელი მსოფლიოს მთავრობებს, ადგილობრივ ხელისუფლებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პარლამენტარებს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და განათლების გასაძლიერებლად;
- **ევროპული ფარმაკოპეა** უზრუნველყოფს საერთო სავალდებულო ხარისხის სტანდარტებს მედიკამენტებისათვის ყველა წევრ ქვეყანაში და ის წარმოადგენს ძირითად ორგანოს ხარისხისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით ევროპაში და მის საზღვრებს გარეთ;

- **პომპიდუს ჯგუფი**, როგორც უმთავრესი ევროპული ფორუმი, იბრძვის ნარკოტიკების არამიზნობრივი გამოყენებისა და მათი უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ;
- **ევროიმიჯი** წარმოადგენს დახმარების ფონდს ევროპული მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ერთობლივი წარმოებისა და გავრცელებისთვის;
- **ევროპული აუდიოვიზუალური ობსერვატორია** აწვდის ინფორმაციას აუდიოვიზუალური წარმოების პროფესიონალებს ტელევიზიის, კინემატოგრაფიის, ვიდეოსა და მულტიმედიის დარგში ბაზრის, სამართლებრივი ასპექტებისა და აუდიოვიზუალური პროდუქციის დაფინანსების შესახებ, რისი მოპოვებაც შესაძლებელია სტატისტიკის წლიურ გამოცემაში;
- **თანამედროვე ენათა ევროპული ცენტრი** მდებარეობს გრაცში (ავსტრია). ცენტრი სთავაზობს მომზადების კურსებს მასწავლებლებს, ენების სახელმძღვანელოების ავტორებსა და ექსპერტებს ენების პროგრამების დარგში.

პროგრამები დემოკრატიული სტაბილურობისათვის

დემოკრატიული სტაბილურობის გასაძლიერებლად ევროპის საბჭო წევრ ქვეყნებში აგზავნის საექსპერტო მისიებს, ახორციელებს დახმარებისა და თანამშრომლობის პროგრამებს, მიავლენს ექსპერტებს სამუშაოდ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ევროპის საბჭოს ზოგიერთ ადგილობრივ ოფისებში (ბელგრადში, ტირანაში, სარაევოში, მოსტარში, პრიშტინაში, პოდგორიცაში, ბაქოსა და ერევანში) და ჩეჩნეთში (რუსეთის პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენლის ოფისში).

ევროპის საბჭოს სხვა პროექტები

2002 წელს შემუშავდა ახლებური მიდგომის კონცეფცია, რაც აისახა ორ, ე.წ. ინტეგრირებულ პროექტში: „ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალადობის აღკვეთა დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და „გავხადოთ დემოკრატიული ინსტიტუტები ქმედითუნარიანი“. ამ პროექტების განსახორციელებლად ევროპის საბჭო თანამ-

შრომლობს როგორც წევრი ქვეყნების მთავრობებთან, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და იყენებს თავისივე სამუშაო გამოცდილებას სხვადასხვა სფეროში ინტეგრირებული პოლიტიკის შესაქმნელად ამ კონკრეტული თემატიკის გარშემო.

ევროპის საბჭოს 46 წევრი ქვეყანა*

ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, მოლდოვა, მონაკო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, სან მარინო, სერბია და მონტენეგრო, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვეცია, შვეიცარია, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, თურქეთი, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო.

► ევროპის საბჭოში დამკვირვებლის სტატუსის მქონე ქვეყნები

კანადა, წმინდა საყდარი, იაპონია, მექსიკა და ამერიკის შეერთებული შტატები.

► დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ:
http://www.coe.int ან http://www.coe.ge

► ევროპის საბჭოს გამომცემლობა

http://book.coe.int

*2005 წლის დეკემბრის მდგომარეობით

► საინფორმაციო განყოფილება

Council of Europe
F – 67075 Strasbourg Cedex
Tel.: + 33 3 88 41 20 33
Fax: + 33 3 88 41 27 45
E-mail: infopoint@coe.int ან information.office@coe.ge
Website: http://www.coe.int ან http://www.coe.ge

► ევროპის საბჭოში სტუმრობა

- *15 ადამიანისაგან შემდგარი ჯგუფისათვის*
  Council of Europe Visitors' Service
  F – 67075 Strasbourg Cedex
  Tel.: + 33 3 88 41 20 29
  Fax: + 33 3 88 41 27 54
  E-mail: visites@coe.int
- *ინდივიდუალური სტუმრობისათვის*
  Tel.: + 33 3 90 21 49 40
  (დაჯავშნა შესაძლებელია მხოლოდ ტელეფონით)

www.coe.int / www.coe.ge

გარეკანის ილუსტრაცია: PUBLICIS-KOUFRA

მომზადებულია კომუნიკაციებისა და ინფორმაციის დეპარტამენ-ტის მიერ (საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება)

დიზაინი: ევროპის საბჭოს პრესსამსახურის განყოფილება

ითარგმნა და ხელმეორედ გამოიცა ევროპის საბჭოს თბილისის საინფორმაციო ბიუროს მიერ - 2005 წლის დეკემბერი

ერეკლე II-ს შესახვევი № 7, თბილისი 0105
ტელ: 988977 / 989560. ფაქსი: 989657
ელ-ფოსტა: information.office@coe.ge
ვებ-გვერდი: www.coe.ge